რინეთის „ლოზ-ნაღის ურჩხული“ ტბის ზადაპირზე ამოვიდა

ჩინეთის ლეგენდარული “ტბათაწნის ურჩხული” კვლავ გამოჩნდა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, მათ ჩრდილოეთ კორეამ საზღვართან ახლოს მდებარე ტბის სანაპიროზე, დაახლოებით, 20 უცნობი არსება დაინახეს.

“ლოზ-ნესის ურჩხულის” ჩინური ვარიანტი ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ერთი საუკუნის წინ შეინძნეს, თუმცა, მოტლანდში “კოლგენი” მსგავსად, ამგვარი ცნობები მეცნიერულად არ დასტურდება.

პეკინის ყოველდღიური გაზეთის “ახალგაზრდობის” ცნობით, 11 ივლისის დღიას ადგილობრივი ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენლმა უცნაური არსებები დაინახა, რომლებიც ძილდის პროვინციაში ჩანაპაის მთებს შორის მდებარე ტბაში ცურავდნენ.

“დაახლოებით, 50 წუთის განმავლობაში ურჩხულები ხუთჯერ მაინც გამოჩნდნენ”, - გაზეთს



კოდი: **DELGEO/EIDHR/MICRO/2003**
ევროკომისია საქართველოში აცხადებს მიკროპროექტებთან დაკავშირებული განაცხადების მიღებას. მიკროპროექტების დაფინანსება მოხდება ევროკავშირის პროგრამის „დემოკრატიასა და ადამიანის უფლებების სფეროში ევროპული ინიციატივა“ ფარგლებში. ***ქართული არაერთერციული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი გრანტების საერთო თანხა 300 000 ევრო.***

აღნიშნული პროგრამის ზოგადი მიზანია სწრაფი რეაგირება იმ არასამთავრობო ორგანიზაციების განაცხადებზე, რომლებიც მოღვაწეობენ ადამიანის უფლებების დაცვისა და დამკვიდრების სფეროში, აგრეთვე, იმ ინიციატივებზე, რომლებიც მიზნად ისახავს შენფულტების თავიდან აცილებას (პრევენცია) და მოგვარებას. მიკროპროექტებთან დაკავშირებული წინადადებები შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებში უნდა იქნეს წარმოდგენილი:

ა. სათანადო მმართველობისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების ხელშეწყობა:

- კანონის უზენაესობის, სასამართლო სისტემის (კერძოდ, პროკურატურის) დამოუკიდებლობისა და სისხლის სამართლის სფეროს რეფორმის მხარდაჭერა.

- სათანადო მმართველობის (**good governance**) ხელშეწყობა, კერძოდ, ადმინისტრაციული ანგარიშვალდებულების დამკვიდრების, კორუფციის თავიდან აცილებისა და კორუფციასთან ბრძოლის ხელშეწყობის გზით;

- საქმიანობა, რომლის მიზანია კონფლიქტების თავიდან აცილება (პრევენცია), მოგვარება და მათი შედეგების რეგულირება; იგულისხმება დამხმარე ღონისძიებებიც, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა ჯგუფთა ინტერესების შეთანხმებას და პარმონიზებას.

ბ. წამებისა და დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა, ადამიანის უფლებების დაცვა და ამ უფლებათა დამკვიდრების ხელშეწყობა:

- საქმიანობა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ჰუმანური საპატიმროების სისტემის დამკვიდრებას და წინასწარი დაკავების პერიოდში ცუდი მოპყრობის თავიდან აცილებას;

გ. რასიზმთან, ქსენოფობიასთან და უმცირესობათა ჯგუფების დისკრიმინაციასთან ბრძოლა:

- რასიზმთან და ქსენოფობიასთან ბრძოლისკენ და რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების დაცვისკენ მიმართული საქმიანობის ხელშეწყობა.

განმცხადებლებს შეუძლიათ წინადადებების ინდივიდუალურად და კონსორციუმების შემადგენელი ნაწილის სახით შემოტანა.

პროექტის ხარჯების მაქსიმალური ზღვარი, რომლის დაფარვა შესაძლებელია გრანტებით, 90%-ია. გრანტებით დაფინანსდება პროექტები, რომელთა ფარგლებში საშუაოები 12 თვემდე პერიოდის განმავლობაში გრძელდება.

გრანტების ოდენობაა 3 000 ევროდან 50 000 ევრომდე.

განმცხადებლები უნდა წარმოადგენდნენ არაკომერციულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა სათაო ოფისი საქართველოში მდებარეობს. განაცხადების შემოტანა შეუძლიათ, აგრეთვე, არასამთავრობო ორგანიზაციებს რომლებიც სათაო ოფისი სხვა ქვეყანაში აიქეთ, მაგრამ საქართველოში ადგილობრივი დამოუკიდებელი დანაყოფით არიან წარმოდგენილი.

სრული „სახელმძღვანელო მითითებები განმცხადებლებისთვის“ მოსაპოვებლად, მიმართეთ ევროკომისიის წარმომადგენლობას საქართველოში, მისამართი: თბილისი 0102, ნინო ჩხეიძის ქ. N38, ტელეფონი: +995(8)32 94 37 63, ფაქსი: +995(8)32 94 37 68, ელექტრონული ფოსტა: **delegation-georgia-eidhr-micro@cec.eu.int**, აგრეთვე, იხილეთ შემდეგი ვებგვერდი: **http://europa.eu.int/comm/europeaid/projects/eidhr/cfp-en.htm**

განაცხადების შემოტანის საბოლოო ვადაა **2003 წლის 15 სექტემბერი, 16 საათი თბილისის დროით.**

ნებისმიერი კითხვა განაცხადის შემოტანასთან დაკავშირებით უნდა გააგზავნოთ ელექტრონული ფოსტით (აუცილებლად მითითეთ კოდი) შემდეგ მისამართზე: **delegation-georgia-eidhr-micro@cec.eu.int** განმცხადებლებს ვთხოვთ განაცხადების მიღების საბოლოო ვადამდე რეგულარულად მიმართონ რეგენტიისთვის ინტერნეტის აღნიშნულ ვებგვერდს, რადგან ევროკომისია გამოაქვეყნებს ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებს და მათზე პასუხებს.

წინამდებარე ტექსტი ინგლისურიდან თარგმანია. ინგლისურ და ქართულ ტექსტებს შორის არსებული განსხვავების შემთხვევაში, უპირატესობა ინგლისურ ტექსტს ენიჭება.




ისირ არაფატი და მაჰმუდ აბასი

ეს შეთანხმებას კოორდინირებული მოქმედების თაობაზე, “საგზაო რუკის” რეალიზაციის მიზნით.

მიღწეული შეთანხმების ფარგლებში მაჰმუდ აბასი ისრაელთან მოლაპარაკების პროცესს გააქონტროლებს. ამასთანავე, ის მომავალ კვირას არიელ შარონთან დაგეგმილ შეხვედრის დროს პრინციპულად დააყენებს საკითხს ისირ არაფატისათვის გადასაღივებაზე დანესეხული შეზღუდვის მოხსნის თაობაზე.

როგორც ცნობილია, არაფატსა და აბასს შორის ისედაც დაძაბული ვითარება გასულ კვირას დღევ უფრო გაწმევდა. ისრაელის გაზეთის “პარეცის” ცნობით, ისინი ოთხი დღის განმავლობაში ერთმანეთს არც კი ელაპარაკებოდნენ. კრისტის ერთი კვირის წინ პალესტინის ავტონომიის მთავრობის საგანგებო სდომოს დროს დაიწყო, როდესაც არაფატის თანაშემწეებმა მაჰმუდ აბასს ქვეყნის ინტერესების ღალატში დასდეს ბრალი.



დინოზავრების შთამომავლები ჩინეთში ცხოვრობენ.

ეპროკავშირი ევროკომისიის წარმომადგანლობა საქართველოში

განაცხადების მიღება ევროკავშირის „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სფეროში ევროპული ინიციატივის“ მიკროპროექტების პროგრამის ფარგლებში

„ნა ხარ ასეთი მორცხვი, აიღე ხალხი ცოცხი..“



ჰერა ნაზარაძი

დღეიდან საქართველოს ტელევიზიის თითქმის ყველა არხზე გამოჩნდება მუსიკალური ვიდეორგოლი, რომლის პირველად დაგეგოვნების პრეროგატივაც გუშინ ვაკის თეატრალურ სარედაფში შეკრებლ “ვიწრო” საზოგადოებას ხვდა წილად. “კოცხები ჩქარა”, ასეთია იმ კლიბის სახელწოდება, რომლის შემოქმედებით ჯგუფშიც თამაშად შეიძლება ითქვას, მთელი ქართული მუსიკალური საზოგადოება გაერთიანდა.

ამ პროექტის შესახებ “24 საათი” ადრეც წერდა. სწორედ მაშინ, როდესაც თემის დაცვისა და კულტურული განვითარების კავშირში ორგანიზაციას Mercy Corps-ის ფინანსური მხარდაჭერით, ეკოლოგიური პრობაგანდის მიზნით რამდენიმე ჩვენთვის აქამდე უჩვეულო აქცია წამოიწყო. ერთ-ერთი მათგანი იყო ეკოლოგიური გაკვეთილები ქართულ სკოლებში შოუ-ბიზნესის ცნობილი წარმომადგენლების მონაწილეობით; მანამდე ეს ორგანიზაცია თბილისში სპორტული მოედნების მშენებლობით იყო ცნობილი. საგანმანათლებლო და მომზადებისტული აქციის გაგრძელების მიზნით, კავშირმა გადაწყვიტა პროექტებში ცნობილი ადამიანები ჩაერთო. “ისინი, ვისაც საზოგადოება ყველაზე მეტად ეწელობა”, - ასე დააბასათა კავშირის წარმომადგენელმა და პროექტის კოორდინატორმა გიორგი ბარამიძემ ქართული შოუ-ბიზნესის თუ ხელოვნების მოღვაწეები. გუშინ სწორედ ამ ტანდემის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელოვნების ნამუშევრის პრეზენტაცია გაიმართა.

პროექტის ავტორთა “შინაური წრე”, ვინც შემოქმედებითმა ჯგუფმა გუშინდელ პრეზენტაციაზე მიიწვია, საკმაოდ ფართო აღმონწეა. ყველა, ვინც კი ვერ მოასწრო ჯერ დეპუტატიოდან გაღწევა, გუშინ “ვაკის თეატრალური სარდაფში” მოვიდა. აქ იყვნენ შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები, მსახიობები (პირველ რიგში, რასაკვირველია, თავად “სარდაფელები”), მასმედიის წარმომადგენლები და ყველა ისინი მეგობარ-ახლობლებთან ერთად. საზოგადოების ასეთი მოწოდება სრულიად გასაცხვია: ჯერ ერთი რომ, ზაფხულის მკვდარ სეზონთან დაკავშირებით, დედაქალაქში კულტურულმა აქტივობამ შესამჩნევად მოიკლო; და მეორე: გუშინდელი შეხვედრის მიზენში ჩვენი ყოველდღიური ერთფეროვნებისგან, მართლაც, სრულიად განსხვავებული იყო.

ნამუშევარი, დაახლოებით, ათწუთიანი მუსიკალური ვიდეორგოლია, სადაც მუსიკოსებთან ერთად, სკოლის მოსწავლეებიც იღებენ მონაწილეობას. კლიბს ჰყავს იდეის ავტორი, გიორგი ბარამიძე და რეჟისორი გოგიტა ჭყონია, დანარჩენი კი ქართველი მუსიკოსების ერთობლივი მუშაობის შედეგია. ანუ, ნამუშევარს არ ჰყავს კონკრეტული კომპოზიტორი თუ ტექსტის ავტორი. კლიბში კი სკოლის მოსწავლე გიორგისთან (რომელიც გადაღებებზე ერთ-ერთ სკოლაში აღმოაჩინა შემოქმედებითმა ჯგუფმა) ერთად ძირითად, ნამყვან როლს უყრბენ (გიორგი გაჩეჩილაძე) ასრულებს. მაგრამ ეს არანაირად არ ჩრდილავს შემოქმედებითი ჯგუფის დანარჩენ წევრებს. პირიქით, კლიბის მეორე ნახევარში, ყველა მათგანი (ნინო მათაგია, “ზუგმზა”, ნიაზ დიასამიძე, მაღი სერებრიაკოვა, რობი კუხიანიძე, ბაკურ ბურდული, პანინი, ირაკლი ჩარკვიანი, მამუკა ბერიკა, მალხაზ ქვერდულიძი, დუტა სხირტაძე, რომან რცხილაძე და ა.შ.) ახერხებს საკუთარი მუსიკალური სტილით წარმოჩენას.

კლიბის ჩვენების შემდეგ დაგვიმოლი აუტკივნი, რომელზეც ხუთი ცალი კომპაქტ-დისკი (სიმღერით “კოცხები ჩქარა”) უნდა გაყიდულიყო, მეტად მარტივი მიზენით ჩაიშალა: ვიდრე აუტკივნი წამყვანის (იგივე უცნობის) შეკითხვაზე (თუ ვინ შეიძენდა პირველ დისკს ხუთ ლარად) უხერხული ღუმელი ჩამოწებოდა, თავად ნამყვანმა სიტუაცია იხსნა და ას ლარად შექმნილი ხუთივე დისკი დარბაზის სტუმრებს დაურიგა. კლიბის განმეორებითი ჩვენების შემდეგ, საზოგადოება ალა-ფურმეტზე კარგა ხანს გაერთო.

ინფორმაცია

ფეხბურთი. „ბარსელონას“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი, პატრიკ კლუივერტი კლუბის მიერ შეთავაზებულ ახალ კონტრაქტს დათანხმდა და უახლოეს დღეებში მოანერგს კიდევ ხელს. ახალი ხელშეკრულებში თანახმად, კლუივერტი უწინდელზე ორი მილიონი დოლარით ნაკლებ გასამრჯელოს მიიღებს (4 მილიონი). თავდაპირველად ფეხბურთელი სხვა გუნდში გადასვლით იმუქრებოდა, თუმცა, მას არც ისე ბევრი მსურველი გამოუჩნდა. ასე რომ, კლუივერტი იძულებული გახდა, „ბარსელონას“ პრობებს დათანხმებოდა. ამბობენ, რომ კატალონიური კლუბი კლუივერტს დიდ პრემიებს უხდიდა იმის გამო, რომ ორი წლის წინათ მან უარი განაცხადა მადრიდის „რეალში“ გადასვლაზე. სწორედ ამ თანხის დაზოგვა განიზრახა „ბარსელონამ“.

ფეხბურთი. შესაძლოა, ჰოლანდიელი ორი მაკაის „დეპორტივოდან“ „ბაიერნში“ გადასვლის ამბავი ჩაიშალოს. ცნობილია, რომ მიუნხენელებს ძალიან უნდოდათ ამ თავდამსხმელის შეძენა. ისინი მზად იყვნენ, მაკაის სანაცვლოდ „დეპორტივოს“ მიერ დასახლებული გამოასახიდათ თანხა, 21 მილიონი ევროც გაეღოთ, თუმცა, ახლა ესპანელებმა სატრანსფერო თანხა გაზარდეს და მაკაის სანაცვლოდ მეტს მოითხოვენ. ჩვენ ძეგლებურად გვაინტერესებს მაკაის შეძენა, თუმცა, ასეთ რისკზე ნახელს და ვაღელში ჩავარდნას არ ვაპირებთ“, - განაცხადა „ბაიერნის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

ფეხბურთი. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ბრაზილიის ნაკრების ნახევარცენტლით კლუბერსონით დაინტერესდა. მას შემდეგ, რაც კლუბი დატოვა დევიდ ბექჰემმა, გუნდიდან მიღის სებასტიან ფერნინც („ჩელსის“ მიმართულებით). ამის გამო მანჩესტერელებს სასწრაფოდ ესაჭიროებათ ნახევარდაცვის გაძლიერება. ბექჰემის შეცვლელად ალექს ფერაუსკინს სწორედ კლუბერსონი ესახება და ნახევარცენტლის ამაშიწინდელ კლუბ „ატლეტიკო პარანაენსის“ 7 მილიონ გირვანჯა სტრანდერს სთავაზობს. კლუბერსონის შეძენა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ სურდა ასევე ინგლისურ „ლიდის“, რომელმაც ახლაც გამოითქვა ფეხბურთელის გადაბირების სურვილი.

ფეხბურთი. როგორც ჩანს, გაბრიელ ბატისტუტასა და მისი ყოფილი კლუბის, „ფორენტინას“ გზები საბოლოოდ არ გაყარლა. გუშინ ფეხბურთელის პირადმა აგენტმა განაცხადა, რომ მის კოეიტეს ფლორენციულ კლუბში დაბრუნება სურს: „ბატისტუტა, სულ ცოტა, 2-3 წელნადს კიდევ ითამაშებს ფეხბურთს. მას ყოველთვის სურდა „ფორენტინაში“ დაბრუნება და, დარწმუნებული ვარ, ის ამას აისრულებს“. შეგახსენებთ, რომ 34 წლის ბატისტუტას რამდენიმე წინადაგება აქვს ყატარული კლუბებიდან, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება არგენტინელს ჯერ არ მიუღია.

ოლიმპიზმი. 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მსურველი კანდიდატ ქალაქებს გუშინ ამოეწურათ საკუთარი ამბიციის ოფიციალურად დაფიქსირების ვადა. გუშინდელი საღამოს მონაწიეებით, ოლიმპიადის მასპინძლობა ცხრა ქალაქს სურს. მათ შორისაა პარიზი, ლონდონი, ნიუ იორკი, მადრიდი და მოსკოვი. ყოველ შემთხვევაში, ეს ქალაქები ყველაზე რეალურ კანდიდატებადაა მიჩნეული. რაც შეეხება იმას, თუ როდის გაცხადდება რჩეულის ეინაობა, ამისთვის 2005 წლამდე მოცდაა საჭირო.

ჩოგბურთი. როგორც ანა კურნიკოვას აგენტმა „როიტერთან“ საუბარში განაცხადა, რუსი ჩოგბურთელის **WTA** ტურნირებზე გამოჩენა, სულ ცოტა, აგვისტოს შუა რიცხვებამდე წარმოდგენილია. გარდა ამისა, ცნობილი ხდება, რომ კურნიკოვა გამოტოვებს „დიდი სლემის“ - აშშ-ის ღია ჩემპიონატსაც. მიზეზი ისევ ზურგის ტკივილია. ამის დასტურად 22 წლის რუსმა ჩოგბურთელმა პალო-ალტოსა და სან-დიეგოში მომავალ კვირას გასამართ **WTA** ტურნირების ორგანიზატორებს შეუთვალა კიდევ, რომ მასში ასპარეზობისთვის არ აპირებს „ველური ბართის“ აღებას. ამასთან, რუსი სექს-სიმბოლო გამოტოვებს ტორნეტის ტურნირსაც, რომელიც 11 აგვისტოს აიღებს სტარტს. თუმცა, მომგობინების შემთხვევაში, ნიუ ჰევენის შეჯიგებაზე მონაწილეობისთვის „ველური ბართის“ აღებას მოითხოვს. ეს ასპარეზობა კი 18 აგვისტოს აშშ-ის ღია პირველობადე ერთი კვირით ადრე დაიწყება.

კრიკი. საცვებით შესაძლებელია, უკრაინელი მძიმეწონისანი ვლადიმერ კლიჩკო (40-2) 30 აგვისტოს მიუნხენის რინგზე როს პოურიტის წინააღმდეგ გავიდეს. პურიტტი (28-17-3) კლიჩკოს ერთზელ უკვე დაუპირისპირდა. 1998 წელს როს პურიტტმა უკრაინელ მოკრძეის პროფესიულ რინგზე პირველი მარცხი აგება. გერმანული საინფორმაციო სახელუდებები ვლადიმირის შესახალ მეტოქეობაზე აღუასაფრთხეს ან ფაბიო მოლის ასახელებენ.

წყალში ხტომა. ბარსელონას საწყლოსნო სახეობათა მე-10 მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის მეორედ დღეს 1-მეტრიანი ტრამპლინიდან წყალში მტრითელ ქალთა ფინალები გაიმართა. უშაღელეს ქულებით ავსტრალიელმა ირინა ლამკოზ დაიმსახრა. მეორე ადგილზე გავიდა გერმანული კონი მალფუსი, მესამეზე - კანადელი ბლიტ მარტლი.

„დინამო“, „ტირანას“, „ბორჯომით“, მომართული დაუხვდება

ალბანელები თბილისს გუშინ ესტუმრნენ

მიხეილ ახიზშვილი

დღეს თბილისის „დინამო“ ალბანეთის „ტირანას“ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ახალი მაისურებით დაუხვდება. უფრო სწორად, ახალი სპონსორით, რომლის ლოგოც დინამოელთა მაისურებს დაამშვენებს. საუბარია კომპანია „საქართველოს მინისა და მინერალურ წყლებზე“, რომელიც გუშინ „დინამოს“ პირველი ოფიციალური სპონსორი გახდა. რაც შეეხება წარწერას, ალბათ, მიხვდებით, რომ მაისურებს ამ კომპანიის ყველაზე ცნობილი სავაჭრო ბრენდი – „ბორჯომი“ დაამშვენებს.

გუშინ, ამ ფაქტთან დაკავშირებით, ეროვნულ სტადიონზე გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც წარუძღვნენ საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი, „დინამო მარკეტინგის“ ხელმძღვანელი ნიკა კობალაძე, კომპანია „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების“ ვიცე-პრეზიდენტი ბადრი ჯაფარიძე და ამავე კომპანიის კომერციული დირექტორი ლევან ზურობი.

კობალაძეს თქმით, „დინამოს“ ხელმძღვანელობა გაიკვეწული დროის განმავლობაში აქტიურად სწავლობდა სავარაუდო სპონსორთა შესაძლებლობებს. „დინამოსთან“ სასპონსორო თანამშრომლობით არაერთი ქართული და უცხოური ფორმა დაინტერესებულია. მაგრამ, „იმის გამო, რომ „დინამო“ საქართველოს ახლანდელი და ყველა დროის საუკეთესო კლუბია, მას სპონსორიც საუკეთესო უნდა ჰყავდ.



ჭირანას ფეხბურთელები ეროვნულ სტადიონზე ვარჯიშობას.

ეს. „საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიაც“ ამ წინითი შევარჩიეთ“, - განაცხადა „დინამო მარკეტინგის“ დირექტორმა.

„პირველი შემთხვევაა, რომ „დინამოს“ გამოუჩნდა ევრეთი ინდებული მაისურის სპონსორი. თანაც, ისეთი უმნიშვნელოვანეი მატჩის წინ, როგორიც გუნდს ხვალ ელის. დარწმუნებული ვარ, ეს თანამშრომლობა ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება და ჩვენ, „ბორჯომთან“ ერთად, დიდ წარმატებებს მივაღწევთ“, - აღნიშნა დავით პეტრიაშვილმა.

„თბილისის“ დინამოც“ და „ბორჯომიც“ საქართველოში წარმატებებთან ასოცირდება. ამი-

Tour de France

ჩამოდრიტ ფსონს, ბატონებო!



ალექსანდრ ვინოკუროვი ფინიშის სწორთან.

რუსი რის რუსია, რომ გვეთი შემთხვევა ხელიდან გაუშვას და სანამ ამერიკელი ხვალანდელ „ეკიპში“ ბასტილიის დღისადმი მიძღვნილ სტატიითა და საკუთარი ფოტოთი ტკებოდა, რუსმა ერთი „ურა“ დაიძახა და ფინიშსკენ მოსულა.

რუსს კი ვამბობ, მაგრამ ეს ვინოკუროვი გერმანული „ტელეკომის“ წევრია, თანაც, ნოე-გოროდში ან პეტერბურგში კი არა, ყაზახეთში ცხოვრობს და არც არაფერს ვერჩი, თან, მე კი არა, არმსტრონგი გარდუდგამეთქი. იმას კიდევ სხვები მიჰყვნენ, ბოლო აღმართი აიარეს და თავქუდმოგლეჯილნი დაემშენენ თავვე.

აი, აქ კი საბოლოოდ დავკარგე ზუმრობის გუნება-დანწყობა. და, საერთოდ, მე იმის იოზა-ლი ვინ მომიცა, ჩემმა ჯილამ რამე მოიგოს. ივანეზე რომ ჩავალ ფსონს, პეტრე იმარჯვებს, პეტრეზე გადავალ და პავლე მოდის ხოლმე პირველი.

ესპანელ ხოსება ბელოკის სამი წელნაზადა ეცხაბს, მიდი, მიდი-მეთქი. წლელუს განსაკუთრებული ყოჩაღად გამოიყურება, მაგრამ... კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. არ ვიცო, ადგილი იყო გვეთი თუ უხერხულად დამაუხერუჭა, ევლოსიპედი მოუსრიალა და გაულაღმა დავცა ასფალტზე. არმსტრონგი ნაქცეულ მეტოქეს კი გაერიდა, მაგრამ გზას ასცადა და რისინ-რისინით დაემცა ფერდზე. იმ ადგილას გზა ასოთხმოცი გრადუსით უხევდა.

იგორა ამერიკელმა, იგორა და ისევ გზაზე არ გავიდა? არც თვითონ დამტყრეულა, არც ვე-

ლოსიპედი. ბედი არ გინდა, ბალონიც კი არ მოძერა!

ცუდად მაქვს დაცდილი სიმბოლური დღევები. ეტაპი არმსტრონგმა ვერა, მაგრამ ვინოკუროვმა მოიგო. ხოსება ბელოკი – ნალდი სპორტსმენი და ესპანელი, კლინიკაში წაიყვანეს. ყვითელი მაისურა კი ისევ ტურის ოთხგზის ჩემპიონს ჩააცვეს.

ახლა ჩემს ძველ სიმპათიაზე, ჩემსავით უღბლო ულრიხზე ჩადევარ ფსონს. რას იტყვით, გაიმართლებს?

ქაფქაფი

ენოზ I

პარსკვლავური ზაფხული

ახალი სეზონის დაწყებამდე ჯერ დიდი დროა, შევებულება კი უკვე მალე დაუმთავრდებათ ევროპის წამყვანი კლუბების ფეხბურთელებს. უკან დარჩება უზრუნველი ზაფხულის არდადეგები და დაძაბული სავარჯიშო განრიგი კვლავ შეახსენებს თავს ზღვაზე მონებიერე ვარსკვლავებს. რა ძნელია სარდინიიდან ან მაიორკადან ისევ მოედანზე დაბრუნება და ქანცის განყვეტამდე ვარჯიში! ჯერ კიდევ ივლის-აგვისტოში უნდა დაიწყოს მზადება ცხრათვიანი, მომქანცველი ახალი სეზონისთვის, რომლის განმავლობაშიც, ვინ იცის, რამდენჯერ მიიღებს მძიმე ტრავმას ესა თუ ის მოთამაშე და რამდენჯერ გაახსენდება ის დრო, როცა პლაჟზე უდარდელად იყო წამოწოლილი და გარუჯვის მეტი არაფერი ადარდებდა.



ზრიატორე, კლუმი და რონალდო მზეს ეფიცებიან.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს და უამრავი ბავშვის უცვლელ კერას, ბრაზილიელ რონალდოს ახლა სწორედ განცხრომისა და ტკობის ხანა უდგას. ბოლო ტურებში დიდი გაჭირვებით მოპოვებული ჩემპიონობის მერე რონალდომ ნამდვილად დაიმსახურა სარდინიის კამკაზა მზეს ეფიცება, „რონალდინია“ კი მის ვეერდით არ არის - მილენე დომინგესს ჯერ კიდევ მაისში უნდოდა „ფენომენტან“ განშორება, მაგრამ სეზონის ბოლომდე მოიცადა, რონალდო თავისი სახელგანთქმული „პასიური სექსი“ გარეშე არ დატოვა და როცა „რეალმა“ პრიმერა დივიზიონი მოიგო, მსოფლიო ჩემპიონს საბოლოოდ დაემშვიდობა. ჯერ არავინ იცის, დამორდება თუ არა ოქროსფერთმიანი მილენე თავის „ფენომენს“, მაგრამ ერთი რამ უკვე ცხადია: რონალდოს და „რონალდინიას“ ერთად ყოფნა აღარ სურთ. „ფენომენი“ სარდინიაზე მარტო გაეგზავრა და მილენეს შემცვლელიც იოლად იპოვა. პაპარაცია ჩასაფრებულ კამერებს, რა თქმა უნდა, არ გამოპარვიათ მოდელის პარამეტრების მქონე მათიმიანი ღამაზმანი, რომელსაც „ფენომენი“ გვერდიდან არ სცილდება. სხვათა შორის, რონალდოს ქალეშში მაინცდამაინც არ უმართლებს. მისი ეს ყბადაღებული „პასიური სექსი“ ბევრს სულაც არ მოსწონს და ბრაზილიელს საფაროდ აკრიტიკებენ კიდევ. უკრაინელმა პორნოვარსკვლავმა ოქსანა კლონკომ, რომლსაც „რონი“ იტალიაში გადაეყარა, „ფენომენს“ „საშუალო შესაძლებლობების მამაკაცი“ უწოდა. პირველი დანიშნული სიუზანა ვერნერიც ცოლად არ გაჰყვა, მილენე დომინგესს გაყრა სურს... მოკლედ, „ფენომენს“ საწინაღად არ უმართლებს. იქნებ სარდინიაზე ნაპოვინ მეგობარი მაინც დარჩეს მისით კმაყოფილი? ენახოთ...

სარდინიაზე რონალდო „რენოს“ შეფ ფლავიო ბრიატორესა და გერმანელი ტპ-მოდელის, ჰაიდი კლუმის საზოგადოებაში ატარებს დროს. ბრიატორემ ბრაზილიელი თავის იახტა „Lady in Blue“-ზე მიიწვია და საერთოდ არ ეშინია, რომ 26 წლის „ფენომენი“ მის 30 წლის პაიდის დაუწყებს არმიყობას. როგორც ჩანს, ბრიატორე საცხებით დარწმუნებულია თავისი მეგობრის ერთგულებაში. რონალდო არც ღამის ცხოვრებას იკლებს. „ფენომენი“ დავსნრო ცნობილ ღამის კლუბის „ბოლინარეს“ გახსნას. სტუმართა შორის იყვნენ მონაკოს პრინცი ალბერტი, ირალდიული ჯგუფის, U2-ის მომღერალი ბონო, ფლავიო ბრიატორე და ჰაიდი კლუმი. მოკლედ, ასეა. ერთნი სარდინიაზე ტკებზიან ცხოვრებით, სხვები უკვე დაბრუნდნენ ამ მშვენიერი კუნძულიდან და ისევ ჩვეულტრებიც, ყოველდღიური პრობლემებით ცხოვრობენ. სარდინიაზე მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარეც ოლივერ კანნსაც დაისვენა მეუღლესთან და შვილებთან ერთად. მერე მიუნხენში დაბრუნდა და ყველაფერი აირია. უკვე ყველამ იცის, რომ „ოლი“ ველარ ახერებს ოჯახის შენარჩუნებას. სიმონემ ახალი მეგობარი იპოვა - ყოფილი შვედი ჩოგბურთელი ტომას ნიდალი და კანთან განშორებას აპირებს. სიმონეს მშობლებსაც აღარ უნდათ „ოლისთან“ ურთიერთობა. მათ „ბაიერნის“ მეკარეს რუსკანშიმ, თავიანთ სახლში მისვლა აუკრძალეს - არ გვინდა, მეზობლები ამ მოღალატეს ხედავდნენ და ჩვენ მის გამო ვწიოდებოდეთო, - ამბობს სიმონეს მამა ლამბერტი. სიმონემ უკვე ბინაც იშოვა და კანის სახლიდან გადადის, რაც „ოლის“ ახალ სატფროს, 21 წლის ვერენას ბოლომდე უხსნის ხელ-ფეხს. კანი და ვერენა უკვე ყველას დასახანად ეკურკურებთან ერთმანეთს და საერთოდ არ ანაღვლებთ, რომ კაფესა თუ რესტორანში მარტონი არ არიან. „ოლის“ აღარ მოსწონს ვერენას „პარტი გერლის“ იმიჯი და მის მოთვინიერებას ცდილობს. კანის მოთხოვნით, ვერენა უფრო მოკრძალებული გახდა, გამოშენვევად აღარ იცვამს და, საერთოდ, ისე იქცევა, რომ ოლიზე სერიოზულად შეყვარებული უნდა იყოს - შევებულება კი განყვეტა ლოს ანჯელესში და ნაადრევად ჩაფრინდა მიუნხენში, რომ თავისი „ოლი“ ენახა. მოკლედ, რონალდოსი არ იყოს, კანიც ახალ სეზონს ახალ ქალთან ერთად იწყებს...

HTB + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. „კრუზე-ირო“ – „ვასკო და გამა“
14:55 „დარტყმა გოლისთვის“
15:10 „FUTBOL MUNDIAL“
15:40 „ფეხბურთი ა-დან წ-მდე“
16:10 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაფები. ავსტრალია – სერბია-ჩერნოგორია. პირდაპირი ტრანსლაცია
17:15 განვლილ სეზონის გასვენება. ესპანეთის ჩემპიონატი. „რეალ სოსიედადი“ – „დეპორტივი“
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალთი ტელეპროგრამა
19:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. „კრუზე-ირო“ – „ვასკო და გამა“
21:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. „მილანი“ – „ჩელსი“
22:40 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაფები. ესპანეთი – რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:45 „დარტყმა გოლისთვის“
00:00 „ფეხბურთი ა-დან წ-მდე“
00:30 განვლილ სეზონის გასვენება. საფრანგეთის ჩემპიონატი. „მონაკი“ – „ოსერ“

TV-სპორტი

ოთხშაბათი. 16 ივლისი
HTB + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. „კრუზე-ირო“ – „ვასკო და გამა“
14:55 „დარტყმა გოლისთვის“
15:10 „FUTBOL MUNDIAL“
15:40 „ფეხბურთი ა-დან წ-მდე“
16:10 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაფები. ავსტრალია – სერბია-ჩერნოგორია. პირდაპირი ტრანსლაცია
17:15 განვლილ სეზონის გასვენება. ესპანეთის ჩემპიონატი. „რეალ სოსიედადი“ – „დეპორტივი“
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალთი ტელეპროგრამა
19:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. „კრუზე-ირო“ – „ვასკო და გამა“
21:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. „მილანი“ – „ჩელსი“
22:40 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაფები. ესპანეთი – რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:45 „დარტყმა გოლისთვის“
00:00 „ფეხბურთი ა-დან წ-მდე“
00:30 განვლილ სეზონის გასვენება. საფრანგეთის ჩემპიონატი. „მონაკი“ – „ოსერ“
HTB + СПОРТ
13:00, 17:00, 20:30 პრეს-ცენტრი
13:15, 20:45 „ოლიმპის მუღიები“
11:20 აერობიკა
11:45 წყალში ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაფები. ტრამპლინი 3მ. ფინალი
14:25 „კეგლის დროა“
14:55 სანქრობული ცურვა. კომბინირებული ჯგუფი. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:15 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაფები. ავსტრალია – სეზბია-ჩერნოგორია
18:20 საქადრაკო მიმობილა
18:55 წყალში ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. კომკურა 10მ. ნახევარ-ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 „ნადირობის სეზონი“
20:50 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაფები. გერმანია – იტალია. პირდაპირი ტრანსლაცია
21:55 წყალში ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. კომკურა 10მ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 თავისუფალი დარტყმა
23:10 ცილა წყალში ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. 10კმ ქალები. 10კმ ვაფები
01:10 ახალი ამბები
01:25 წყალბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაფები. ესპანეთი – რუსეთი
EUROSPORT
13:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
15:30 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
17:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
18:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
19:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
20:00 ფეხბურთი. „იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი ლიხტენშტაინში“
22:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი
23:00 ფეხბურთი. „იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი ლიხტენშტაინში“
01:00 ახალი ამბები
01:15 ცეცხლისძა. ნაციის თაზი შედეფთში
02:15 მსოფლიო ჩოთბისპაობითი
02:30 კოლდგი. ამერიკული PGA ტური
03:30 ავროსნობა
04:00 მულტისპორტი
04:15 ახალი ამბები

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს კონკურსს სპეციალიზირებულ საეთერო ტელემაუწყებლოებაზე და საერთო საეთერო რადიომაუწყებლოებაზე ლიცენზიის მისაღებად

“კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონის თანახმად, ტელერადიომაუწყებლობაზე ლიცენზიების გაცემა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილებას მიეკუთვნება (1999 წლის 1 ოქტომბრამდე ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიები ყოფილი საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სალიცენზიო კომისიის მიერ გაიცემოდა). ამავე დროს, “კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისიას აეკრძა­ლა ტელერადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მინისზედა სადგურებით მომსახურებასა და საეთერო ტელერადიომაუწყებლობაზე ლიცენზიების გაცემა ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზირებასთან დაკავშირებით “კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანამდე. აქედან გამომდინარე, 1999 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე საეთერო ტელერადიომაუწყებლობაზე არც ერთი ლიცენზია არ გაცემულა.

აღნიშნული ცვლილებები და დამატებები საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის 7 მაისს მიიღო, რითაც საეთერო ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზირების პროცედურის საკანონმდებლო ნორმები დადგინდა.

საეთერო ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზირების მექანიზმი რამდენიმე მნიშვნელოვან პრინციპს დაეფუძნა:

1. “კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონმა გაითვალისწინა ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზირების ძირითადი ნორმები, რომლებიც გარკვეულწილად საერთოა ევროპული ქვეყნებისათვის და რომლებიც ასახულია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებში “საზოგადოებრივი მაუწყებლობის დამოუკიდებლობის გარანტიების შესახებ” და “მაუწყებლობის სფეროში მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობისა და ფუნქციების შესახებ”, აღამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპის კონვენციის მე-10 მუხლში და მის კომენტარებში, სატელეკომუნიკაციო სფეროში ლიცენზიების გაცემის თაობაზე ევროპარლამენტის 1997 წლის 10 აპრილის დირექტივაში, “ტრანსსაზღვრო მაუწყებლობის შესახებ” 1998 წლის 9 სექტემბრის ევროპულ კონვენციაში. ამასთან, კანონმა გაითვალისწინა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ექსპერტების რეკომენდაციები და წინადადებები ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზირების მექანიზმთან დაკავშირებით.

2. საეთერო ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიები სამაუწყებლო კონკურსის წესით გაიცემა. კონკურსში გამარჯვულის გამოცემა ფინანსური, ტექნიკური და პროგრამირების ასპექტების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ამგვარი მეთოდით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მექანიზმს სამაუწყებლო სექტორში მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობის შესახებ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2000 წლის 20 დეკემბრის რეკომენდაციის განმარტებითი მემორანდუმის 37-ე და 38-ე პუნქტები ითვალისწინებს. კანონმა განსაზღვრა კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პროცედურები, კომისიის ვალდებულებები კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პროცესში, საკონკურსო განაცხადის შედგენასა და კონკურსის პირობებთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები. კანონის შესაბამისად, კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის ერთ-ერთ ასპექტად კანონის ამოქმედების მომენტისათვის კონკრეტულ სამოქმედო ზონაში პირის მიერ ტელერადიომაუწყებლობისათვის აშენებული სარტეო ქსელის არსებობის დადასტურება განისაზღვრა.

3. კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციის მაუწყებლობის სფეროში ლიცენზირების პირობების დადგენა წარმოადგენს.

4. კანონის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია მაუწყებლობის ლიცენზირების პროცესში საჯაროობის დაცვის აუცილებლობა.

“კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონში 2002 წლის 7 მაისს შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით განისაზღვრა როგორც კომისიის, ასევე მაუწყებლების ვალდებულებები.

კომისია:

ა) ყოველწლიურად ადგენს თავისუფალ სიხშირულ რესურსს და ქვეყნისა თუ მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით აქვეყნებს სამაუწყებლო სიხშირეთა განაწილების გეგმას;

ბ) საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე ადგენს ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს.

ტელერადიომაუწყებელი ვალდებულია მაუწყებლობის პროცესში დაიცვას საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, “კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ”, “საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ”, “მაგნეზუგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ”, “რეკლამის შესახებ” კანონებით, საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესები.

2002 წლის 7 მაისს “კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, აგრეთვე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 158-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, “მაუწყებლობის სიხშირეთა განაწილების გეგმის დამდგენი დამოუკიდებელი ორგანოს დაწინაურების მიზნით ტენდერის გამოცხადების თაობაზე” კომისიის 2002 წლის 14 აგვისტოს N311 გადაწყვეტილებით დანიშნულმა დამოუკიდებელმა ორგანომ დაადგინა მაუწყებლობის სიხშირეთა განაწილების გეგმა საქართველოს ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების მიხედვით, გადამცემების ანტენების განთავსების საფარდინატივის, მაუწყებლობის გავრცელების საშუალო რადიუსისა და გადამცემების სიმძლავრეების მითითებით. (მაუწყებლობის სიხშირეთა განაწილების გეგმა გამოქვეყნდა და ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის). მაუწყებლობის სიხშირეთა განაწილების გეგმის საფუძველზე განისაზღვრა თავისუფალი სამაუწყებლო სიხშირული ბადე.

მაუწყებლობის სიხშირეთა განაწილების გეგმის დადგენის უმთავრეს მიზანს სიხშირულ რესურსის, მათ შორის სამაუწყებლო სიხშირეების ოპტიმალური დაგეგმარება, რადიოკავშირის საერთაშორისო რეგლამენტის (ITU) შესაბამისად მათი მიზნობრივად გამოყენება და, მოლიანობაში, სიხშირული სპექტრის ეფექტური მართვის განხორციელების წინაპირობების შექმნა წარმოადგენდა. მაუწყებლობის სიხშირეთა განაწილების გეგმის დადგენისას გათვალისწინებულია ის კონკრეტული პრობლემატიკა და რეალობა, რაც წლების მანძილზე შეიქმნა სახშირული სპექტრის განაწილებისა და სიხშირული სპექტრით სარგებლობის პროცესში. კერძოდ:

ა) ზოგიერთ შემთხვევაში სამაუწყებლო (ძირითადად - სატელევიზიო) სიხშირეები გაცემულია არასამაუწყებლო სიხშირულ ზოლში;

ბ) გაცემული სატელევიზიო არხები ხშირად არ არის ელექტრომაგნიტურად თავსებადი, რაც ურთიერთხელშეშლების წარმოქმნის მიზეზს წარმოადგენს;

გ) საღერისპირა სამაუწყებლო ზონებში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა სამაუწყებლო სადგურების ურთიერთკოორდინაციის საკითხს, რაც, შესაბამისად, მეზობელი ქვეყნების სამაუწყებლო სადგურებს შორის ურთიერთხელშეშლებს და გარკვეულ ურთიერთპრეტენზიებს განაპირობებს.

დ) სამაუწყებლო სიხშირეები არაოპტიმალურად არის ათვისებული და გამოყენებული, რაც ურთიერთხელშეშლების წარმოქმნის წინაპირობას წარმოადგენს.

“კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონის 455-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა საფუძველზე, კომისიის დაკვეთით საქართველოს საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის მიერ ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის რაოდენობრივი კვლევა, რომლის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა და გამოქვეყნდა ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტები.

2002 წლის 7 მაისს “კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად განისაზღვრა სალიცენზიო გადასახდელის გადახდის ძირითადი პრინციპები, დაკონკრეტდა ფაქტორები, რომლებიც საფუძველად დაედო სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწესის ოდენობის განსაზღვრას. ამგვარ ფაქტორებს განეკუთვნა კონკრეტულ სიხშირულ დიაპაზონში დაკავებული ზოლის სიგანე და სიხშირული დიაპაზონის ტევადუნარიანობა, კავშირის სახეობის სპეციფიურობა, ქსელში გადამცემი სადგურების რაოდენობა, გადამცემების გამოსასვლელი სიმძლავრე, ქვეყნის კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის რაოდენობა და ეკონომიკური მაჩვენებლები. ამასთან, “კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 2002 წლის 20 დეკემბერს მიღებული კომისიის დადგენილება N 2 “კოდის გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე და სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობაზე სალიცენზიო გადასახდელის საწესის ოდენობის განსაზღვრისა და სალიცენზიო გადასახდელის გადახდის წესის შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე, რომელმაც სამართლებრივი ექსპერტიზა გაიარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში და შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში (სარეგისტრაციო კოდი 320.050.000.15.012.005.612).

“კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ტელერადიომაუწყებლის ერთ-ერთ უმთავრეს ვალდებულებად საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, აგრეთვე შიდაეროვნული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვა განისაზღვრა (მათ შორის - “საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი პირობების დაცვის ვალდებულება, რაც, უმთავრესად, ეთერში კანონიერ საფუძველზე შეძენილი ტელერადიოპროდუქციის გავრცელების აუცილებლობას გულისხმობს). ამასთან, მაუწყებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონმა კონკრეტული საწესიები დაადგინა (ლიცენზიის მფლობელისათვის ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმა) დაკისრება, ლიცენზიის მოქმედების შეჩერება, ლიცენზიის გაუქმება).

“კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონით ტელერადიომაუწყებლისათვის დადგენილი ტექნიკური, სამართლებრივი და სხვა სახის ვალდებულებების აღსრულების პირობამ მაუწყებელთათვის და მაუწყებლობის განხორციელების მსურველთათვის გარკვეული ფინანსური რესურსებისა და შესაძლებლობების არსებობის აუცილებლობა განაპირობა.

საეთერო ტელერადიომაუყებლობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტელერადიომაუწყებლის შემოსავლის ფორმირების უმთავრეს წყაროდ კომერციული ხასიათის ინფორმაციის ანუ რეკლამის გავრცელებიდან მიღებული შემოსავლები ითვლება. შესაბამისად, საეთერო ტელერადიომაუწყებლის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის ძირითად საშუალებას ქვეყანაში არსებული სარეკლამო ბაზარი წარმოადგენს. ქვეყნის სარეკლამო ბაზრის ანალიზი ცხადყოფს, რომ სარეკლამო ბაზრის შემოსავლების უმეტესი წილი ქ.თბილისში და საქართველოს მსხვილ ქალაქებში მოქმედ მაუწყებლებზე მოდის. ეს მაჩვენებელი გაცილებით მცირეა რეგიონებსა და კონკრეტულ რაიონებში, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მაუწყებლებს სატელეკომო შემოსავლები საერთოდ არ გააჩნიათ.

მომხმარებელთა მოთხოვნების, მათ შორის - ხარისხიანი მაუწყებლობის მიწოდების უზრუნველსაყოფად, გავრცელებული მაუწყებლობა სამაუწყებლო ტექნიკური სტანდარტით დადგენილ ნორმებს უნდა აკმაყოფილებდეს. შე-

საბამისად, ხარისხიანი მაუწყებლობის განხორციელება უკავშირდება ფინანსურ რესურსებს, რაც უშუალოდ სარეკლამო ბაზრის პოტენციალზე არის დამოკიდებული. ამასთან, მცირე სარეკლამო შემოსავლების, ან მათი არარსებობის პირობებში დაფინანსების ნაკლებად გამჭვირვალე, გარეშე წყაროების არსებობა მიკერძოებული მაუწყებლობის, მაუწყებლობის პოლიტიზირების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

ქ.თბილისში, სადაც ორ ათეულზე მეტი საეთერო ტელე და რადიომაუწყებელი ფუნქციონირებს, საკმაოდ კონკურენტუნარიანი გარემო ჩამოყალიბდა. განსხვავებული სიტუაციაა რეგიონებში, სადაც მთელ რიგ ტერიტორიებზე მხოლოდ ადგილობრივი სამაუწყებლო პროგრამები ვრცელდება. არის ტერიტორიები, სადაც მაუწყებლობა საერთოდ არ ხორციელდება. ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი (გამოკითხულთა 85%-ი) ქ.თბილისის სამაუწყებლო არხების რეგიონებში გავრცელების სურვილს გამოთქვამს. აქედან გამომდინარე, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ.თბილისში მოქმედი სამაუწყებლო არხების სამოქმედო ზონის გაფართოებას და მათ მიერ განხორციელებული მაუწყებლობის ქ.თბილისის ფარგლებს გარეთ გავრცელებას.

საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტების აზრით (62.1%), ქართული სატელევიზიო საეთერო პროგრამები გაჯერებულია საიფორმაციო-ანალიტიკური ხასიათის გადაცემებით. იმ გადაცემებს შორის, რომელთა მიღება სურს ტელემაყურებელს, მაღალი სიხშირით სახელდება მუსიკალური (61,5%-ი), კულტურული (31%-ი), შემეცნებითი (28%-ი), სპორტული (23,4%-ი), საბავშვო (23%-ი) გადაცემები და მხატვრული ფილმები (20%-ი).

რესპოდენტების 50%-ზე მეტმა გამოთქვა სპეციალიზებული არხების არსებობის სურვილი, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. რაც შეეხება სპეციალიზებული ტელემაუწყებლობის არხების ჟანრებს, მაღალი სიხშირით სახელდება მხატვრული ფილმები (23,4%), მუსიკალური (20,7%) და სპორტული (15%) გადაცემები.

რესპონდენტების უმრავლესობისთვის დღეს არსებულზე გაცილებით მეტი რადიო არხის არსებობა არის სასურველი. რესპოდენტები სასურველ რადიო გადაცემებს შორის დიდი მოცულობით ასახელებენ მუსიკალურ, სპორტულ, ანალიტიკურ გადაცემებს, ცნობილ ადამიანებთან შეხვედრებს, იუმორისტულ პროგრამებს.

ზემოაღნიშნული ტექნიკური, სამართლებრივი და ფინანსური ფაქტორების, კანონმდებლობით მაუწყებლებსათვის განსაზღვრული ვალდებულებების, საზოგადოების მოთხოვნებისა და ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების, აგრეთვე საქართველოში არსებული სარეკლამო ბაზრის რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებული სიხშირული რესურსის მიზნობრივი და ოპტიმალური გამოყენების, ქვეყნის მოსახლეობის მაქსიმალურად მოცვის და მათთვის ხარისხიანი მაუწყებლობის მიწოდების წინაპირობების შექმნის მიზნით, “კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და 455-ე მუხლის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვიტა:

1. განისაზღვროს 11 (თერთმეტი) სამაუწყებლო ზონა, ჩამონათვალის შესაბამისად:

1	ზონა: ქ.თბილისი
2	ზონა: ქ.ბათუმი, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედას, შუახევის, ხულოს რაიონები.
3	ზონა: თელავის, გურჯაანის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, დედოფლისნაროს, თიანეთის რაიონები.
4	ზონა: მცხეთის, კასპის, გორის, ხაშურის, ქარელის, ცხინვალის, ჯაევის, ახალგორის, დუშეთის, ყაზბეგის რაიონები.
5	ზონა: ქრუსთავი, გარდაბნის, საგარეჯოს, მარნეულის, ბოლნისის, თეთრი-წყაროს, დმანისის რაიონები.
6	ზონა: ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ადიგენის, ნონოწმინდის, წალკის რაიონები.
7	ზონა: ქ.ქუთაისი, ხონის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ზესტაფონის, თერჯოლის, ხარაგაულის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის რაიონები.
8	ზონა: ჭიათურის, საჩხერის, ონის, ტყიბულის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის რაიონები
9	ზონა: ქ.ფოთი, სენაკის, მარტვილის, აბაშის, ხობის რაიონები.
10	ზონა: ქ.ზუგდიდი და ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მესტიის რაიონები.
11	ზონა: ქ.სოხუმი, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, გუდაუთის, გაგარის რაიონები.

2. გამოცხადდეს კონკურსი საეთერო სპეციალიზებულ (საინფორმაციო, საგანმანათლებლო-შემეცნებითი, კულტურული, სპორტული, გასართობი) ტელემაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად, შემდეგი პირობებით:

ა) 10 გადამცემის გამოყენებით, მითითებული სამაუწყებლო ზონების მიხედვით:

	სამაუნ-ყველა ზონა	ანტენის განთავსების ადგილი	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის სიმაღლე მინის ზედ. მ.	სატელევიზიო არხი	სიმძლავრე კვტ	მაუწყებლობის საშ. რადიუსი კმ.
1	2	ბათუმი	41E43 41N41	110	53	1.0	25
2	3	ყვარლის რ-ნი, სანაქარდო	45E46 41N58	55	10	0.8	20
3	4	გორი	44E03 42N02	165	36	3.0	30
4	5	ბოლნისი	44E32 41N26	40	39	2.0	25
5	6	ბორჯომის რ-ნი, სოფ. ცხრა წყარო	43E31 41N42	40	3	1.0	25
6	6	ახალქალაქი	43E25 41N21	55	28	1.0	15
7	7	ქუთაისი	42E44 42N17	60	23	3.0	30
8	8	საჩხერე	43E24 42N21	40	22	0.5	15
9	9	სენაკი	42E05 42N17	25	28	0.5	15
10	10	ზუგდიდი	41E52 42N30	30	37	1.0	15

შენიშვნა: გეოგრაფიული კოორდინატები მითითებულია საანძო კონსტრუქციებისათვის. შესაძლებელია ანძის კონსტრუქციის აგება აღნიშნული კოორდინატებიდან 50-150 მეტრის რადიუსში ზღვის დონიდან ანტენის განთავსების მითითებული სიმაღლის შენარჩუნებით (კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი ნებართვების მიღების შემთხვევაში).

ბ) სამოქმედო ზონა – საქართველოს ტერიტორია სამაუწყებლო ზონა N1–ის (თბილისის სამაუწყებლო ზონა) გამოკლებით, მათ შორის:

სამაუწყებლო ზონა 2
სამაუწყებლო ზონა 3
სამაუწყებლო ზონა 4
სამაუწყებლო ზონა 5
სამაუწყებლო ზონა 6
სამაუწყებლო ზონა 7
სამაუწყებლო ზონა 8
სამაუწყებლო ზონა 9
სამაუწყებლო ზონა 10

ა) ამ გადაწყვეტილების პირველ პუნქტში გათვალისწინებული მე-11 სამაუწყებლო ზონის დაფარვის მიზნით, კომისია, კონკურსში გამარჯვებულთან შეთანხმებით, დამატებით განსაზღვრავს შესაბამის პარამეტრებს, რაც ლიცენზიის პირობებში აისახება;

10.00, 13.00, 16.00, 18.00, 20.00 **Сегодня** 10.00
Сернал „Жил-был я“ 11.00 **„Сегодня утром“**
 11.25 Комедия **„Дамы приглашают кавалеров“** 13.30 Ток-шоу **„Страна Советов“**
 14.35 **Сернал „След оборотня“** 15.45
 17.00 **Криминал** 16.35 Ток-шоу **„Принцип Домино“**
„Верить ли в приметы?“ 18.30 **Сернал „Скорая помощь 2“** 19.25 Док-фильм **„Николай 2. Круг жизни“**, 3 с. 20.35 **Сернал „Улицы разбитых фонарей“** 21.45 **Сернал „След оборотня“**
 23.00 **„Страна и мир“** 23.30 **Сернал „Клан Сопрано“** 00.40 **Сернал „Улицы разбитых фонарей“** 01.55 **„Сегодня“** 02.15 **„Гордон“**

პირი ბროსახაძე, ისევე როგორც
როჯერ მურმა (ჯეიმზ ბონდის რო-
ლის კიდევ ერთი შესრულებელი,
რომელმაც ცოტა ხნის წინათ სერის
წოდება მიანიჭეს), ახლახანს გაეროს
საბავშვო ფონდის "ოუნისფიზიკან"
წარმატებული სამატიო დესპანო-
მიზისთვის უმაღლესი შეფასება მიიღო.

თამარ შენი



კოსთათაობი გადაცემა ეთერში
გადა სახელმწიფოთი "მერიონი". მო-
სულსკი გადაცემები ინარჩუნებს
სტანდარტს, რომელიც, როგორც ამ-
ბობენ, ცნობილი "ოსპონენის".
საბაღის სასოციალიზის ინვესტ. სტუ-
დიალი და მდინარეებზელი იქნება გა-
მყარ, რაც მერის საშუალებას მის-
ცემს ეთერის დრას გაესაზღვროს
საბაღში სხვადა. მოუმი ჩართულობა
იქნებათ ახალგაზრდა და ოზის
მთელიც: კული და ჯეკი გადაცემის-
ბერის რეპორაჟებს მოამზადებენ.



ნამალ "საღიზიოს" თვისებები ამოიკრძელებოდა და მოხიზებული საკონტრაქტო, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

ნამალს ფასი საკონტრაქტის ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.